



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერძენიშვილი ბელა ალექსანდრეს ასული

ბერძენიშვილი ბელა ალექსანდრეს ასული (9. X. 1929, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართველო. დამს. მხატვარი (1976).

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1956). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1966-იდან). 1958-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. ბ-ის ნამუშევრებისათვის ნიშანდობლივია ქართ. ხალხ. ხელოვნ. ტრადიციების გამოყენება, კომპოზიციის ზუსტი გრძნობა, დახვეწილი, ოდნავ უტრირებული ნახატი, პოეტურობა, სუფთა კოლორიტი.

ძირითადი ნამუშევრები: „ნატურმორტი“ (1959), „თუშური ჩითები“ (1959), „ნატურმორტი“ (1962). ბ-ს ეკუთვნის ქართ. ზღაპრებისა და ხალხ. პოეზიის ნიმუშების საყურადღებო ილუსტრაციები: „მზეო ამოდი, ამოდი“ (1965), „ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს!“ (1972); გააფორმა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (1975 – 76); ავტორია დამზღერი სურათებისა: „ეთერის სიმღერა“ (1957), „ძველ წყაროსთან“ (1958), „სვანეთის პეიზაჟები“ (1960 – 63) და სხვ.

კედლის მხატვრობის ნიმუშებიდან აღსანიშნავია სასტუმრო „ივერიის“ დარბაზი (1967, თბილისი), ახალგაზრდული კაფეს ინტერიერი (1979, ჭიათურა) და სხვ.

ა. ჩხარტიშვილი
